ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31250163**
თარიღი: **16/01/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ს:

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შესული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და გარდაიქმნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად. შესაბამისად, ხსენებულმა კანონმა შეცვალა ზემოაღნიშნულ სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო იძლევა რეკომენდაციას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებამ მოცემულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდასთან მიმართებაში.

ვინაიდან დადგენილების მისაღებად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოება, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტსაც.

2. დადგენილების ფინანსური დასაბუთება

ა) დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი ბიუჯეტის

საშემოსავლო ნაწილზე. ბ) დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის გიორგი ხელაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2025 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106 1-ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2025 წლის 23 იანვრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 599266130).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2025 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილების (ვებგვერდი 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016341) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართი N1-ში და დანართი N2-ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N1-ის და დანართი N2-ის რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან და გავრცელდეს 2025 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი N1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	**თანამდებობის დასახელება**	**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარში)**
	საკრებულოს თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6000
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4537
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3951
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3219
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	2928
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2343

დანართი N2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	თანამდებობათა დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	2928
	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება		
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	2343
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	1610
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)	1	1610
5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1610
	საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილება		
6	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი)	1	2050
7	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	9	1464
	საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა		
8	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	
9	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში	1	
10		1	

	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი		
11	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	
12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი	1	

KA040151070112424

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ817 **30 / დეკემბერი / 2024 წ.**

საჯარო დაწესებულებებს

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შესული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და გარდაიქმნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად. შესაბამისად, ხსენებულმა კანონმა გარდაქმნა ზემოაღნიშნულ სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო იძლევა რეკომენდაციას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებამ მოცემულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდასთან მიმართებაში.

ბიუროს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიამ ცენტერაძე